ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. იანვარი 5 № 1 თბილისი

## შინაარსი

**სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება**

1. ზოგიერთ კოლმეურნეობისათვის სავალდებულო მიწოდების ანგარიშში ცხვრისა და თხის ტყავის ნაცვლად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავის ჩაბარების ნებართვის მიცემის შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი**

2. საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მოსწავლეთა მიღების წესის შეცვლის შესახებ.
3. 1941 წელში კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების გატარების შესახებ.
4. ამხ. რ. ა. კვირკველიას საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
5. საქალაქო კეთილმოწყობის ნაგებობების კაპიტალური რემონტის ყოველწლიურ ასიგნობათა ნორმების შესახებ.
6. სამედიცინო მუშაკთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ.
7. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სატყეო დაცვის მუშაკთა მიწის სასამსახურო ნაკვეთების ოდენობის დაწესების შესახებ.
8. სწავლის ფულის გადახდისაგან პენსიონერ ინვალიდ მოსწავლეებისა და მათი შვილების, აგრეთვე საბავშვო სახლების აღსაზრდელთა განთავისუფლების შესახებ.
9. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მოწყობის შესახებ.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

**1. ზოგიერთ კოლმეურნეობისათვის სავალდებულო მიწოდების ანგარიშში ცხვრისა და თხის ტყავის ნაცვლად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავის ჩაბარების ნებართვის მიცემის შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წ. 16 დეკემბრის № 461 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც საშუალება არა აქვთ შეასრულონ ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების ვალდებულებანი, გამონაკლისის სახით, შეასრულონ 1940 წლის ვალდებულებანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავის შემდეგი ექვივალენტით: ერთი დიდი ტყავი ცხვრის ან თხის ექვსი ტყავის ნაცვლად და ერთი საშუალო ტყავი ცხვრის ან თხის ოთხი ტყავის ნაცვლად.

2. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულებს:

ა) ცხვრისა და თხის ტყავის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტყავით შეცვლის ნება დართონ ცალკეულ კოლმეურნეობებს, რომლებსაც საშუალება არა აქვთ შეასრულონ ცხვრისა და თხის ტყავის ჩაბარების ვალდებულებანი;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა 1940 წლის დამლევამდე მთლიანად შესრულდეს ტყავის ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე
**ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
**კ. ჩარკვიანი.**

1940 წ. დეკემბრის 17. № 2575.
თბილისი.

---

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**2. საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მოსწავლეთა მიღების წესის შეცვლის შესახებ.**

„საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მოსწავლეთა მიღების წესის შეცვლის შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 27 ნოემბრის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 31, მუხ. 774) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს არსებული წესი, რომლის მიხედვითაც საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში მოსწავლეთა მიღება რაიონული ორგანიზაციების მივლინებით ხდება.

2. ნებადართულ იქნას მოსწავლეთა თავისუფალი მიღება საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებმაც საკონკურსო გამოცდები ჩააბარეს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. გვიშიანი.**

1940 წ. დეკემბრის 7. № 2517.
თბილისი.

**3. 1941 წელში კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების გატარების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს 1941 წლის სოფლად კულტგამოსაღების გადასახადისაგან მთელი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს ზემო-სვანეთის რაიონის სოფლებში, აგრეთვე დუშეთის რაიონის არხოტის, ბარისახოს, ბაცალიგოსა და შატილის სასოფლო საბჭოების სოფლებში და ყაზბეგის რაიონის სოფელართხმოსა და ჯუთაში.

2. დაწესებულ იქნეს სოფლად კულტგამოსაღების საშუალო განაკვეთები კოლმეურნეთა მეურნეობებიდან და გამოსაღების საშუალო ოდენობა ერთპიროვნული მეურნეობებიდან შემდეგი რაოდენობით:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის:

| ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების დასახელება | რომელთაც არა აქვთ განუსაზოგადოებელი შემოსავლის წყაროები | რომელთაც აქვთ განუსაზოგადოებელი შემოსავლის წყაროები |
|---|---|---|
| 1. აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი . . . . . . . . . . . . . | 8 მან. | 24 მან. |
| 2. აფხაზეთის ასსრ . . . . . . . . . . . . | 8 „ | 26 „ |
| 3. ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის და ქვემო-სვანეთის რაიონები . . . . . . . . . . . . . | 8 „ | 18 „ |
| 4. აბაშის, ბორჩალოს, გეგეჭკორის, დუშეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ოხის, ტყიბულის, ფოთის, სამტრედიის, თიანეთის, წალკის, ხაშურის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ცაგერის, წალენჯიხის და ამბროლაურის რაიონები . . | 8 „ | 24 „ |
| 5. ბაშკიჩეთის, ლუქსე ბურგის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის, კასპის, ქარელის, ქუთაისის, საგარეჯოს, ყვარელის, მახარაძის, მცხეთის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ხობის, სიღნაღის, თბილისის, წითელ-წყაროს და ჭიათურის რაიონები . . | 8 „ | 26 „ |
| 6. ყარაიას, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ვანის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის და თელავის რაიონები . . . . . | 8 „ | 33 „ |

ბ) ერთპიროვნული გლეხური მეურნეობებისათვის:

1. რომელთაც არა ჰყავთ არც მუშა პირუტყვი, არა აქვთ არც საბაზრო, არც არასამიწათმოქმედო შემოსავალი, საქართველოს სსრ ყველა რაიონებისათვის 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 90%.

2. რომელთაც ჰყავთ მუშა პირუტყვი, ან აქვთ საბაზრო ან არასამეურნეო მოქმედო შემოსავალი, საქართველოს სსრ ყველა რაიონებისათვის 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 125%.

3. აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელმა კომიტეტმა კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებულ გამოსაღების საშუალო განაკვეთებიდან და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესებულ გამოსაღების საშუალო ოდენობიდან გამომდინარე, რომელიც განსაზღვრულია ამ დადგენილების მე-2 პუნქტით, 1940 წ. 20 დეკემბრამდე დააწესონ ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში შემავალ რაიონების მიხედვით საშუალო განაკვეთები კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის და გამოსაღების ოდენობა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებისათვის.

4. წინადადება მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ყველა აღმასრულებელ კომიტეტებს, ამ დადგენილების მე-2 პუნქტით დადგენილ გამოსაღების საშუალო განაკვეთებიდან და საშუალო ოდენობიდან გამომდინარე დააწესონ გამოსაღების საბოლოო განაკვეთები კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის ცალკეული სოფლების, ხოლო საჭირო შემთხვევებში ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით, აგრეთვე გამოსაღების ოდენობა ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის ცალკეული სოფლების მიხედვით.

5. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს და მშრომელთა დეპუტატების ყველა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) უზრუნველჰყონ 1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა სიების გულმოდგინეთ შემოწმება მასში იმ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით, რომელიც მოხდა მეურნეობაში 1941 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით;

ბ) უზრუნველჰყონ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულთა, მუშა-მოსამსახურეთა და სხვ. მეურნეობებზე კულტგამოსაღების კანონით გათვალისწინებულ ყველა შეღავათების მინიჭება, რომელიც აღნიშნულია სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1940 წლის 27 ნოემბრის სადირექტივო წერილში № 844/135;

გ) მეურნეობათა სიების შემოწმების მთელი მუშაობა დამთავრებული იქნეს 1941 წლის 5 იანვრამდე, ხოლო სოფლად კულტგამოსაღების გამოანგარიშება და ყველა გადამხდელებზე საგადასახდელო უწყებათა ჩაბარება—არაუგვიანეს 1941 წლის 15 იანვრისა;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს სოფლად კულტგამოსაღების თანხების მთლიანად შემოსვლა კანონით დადგენილ ვადებში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და რაი-(ქალაქის) ფინანსთა განყოფილებებს:

ა) 1941 წლის 20 დეკემბრამდე ჩაატარონ ყველა საგადასახადო აგენტების და საგადასახადო ინსპექტორების ამომწურავი ინსტრუქტაჟი სოფლად კულტ-გამოსაღების გამო;

ბ) უზრუნველჰყონ 1941 წლის სოფლად კულტგამოსაღების გატარებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოთა დროულად დამთავრება, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით მეურნეობებისათვის კანონით დადგენილ ყველა შეღავათებისა და მონაკლებების სწორად მინიჭებაზე;

გ) საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა 1941 წლის 10 იანვრისა და 20 თებერვლისათვის წარმოადგინოს მოხსენებები 1941 წლის სოფლად კულტგამოსაღების გატარების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. გვიშიანი.**

1940 წ. დეკემბრის 14. № 2559.
თბილისი.

---

**4. ამხ. რ. ა. კვირკველიას საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. რაფაელ არტემის-ძე კვირკველია საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. გვიშიანი.**

1940 წ. დეკემბრის 16. № 2570.
თბილისი.

---

**5. საქალაქო კეთილმოწყობის ნაგებობების კაპიტალური რემონტის ყოველწლიურ ასიგნობათა ნორმების შესახებ.**

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 აპრილის დადგენილებისა „კომუნალურ საწარმოთა საამორტიზაციო ანარიცხების გამოყენებისა და რემონტის გაუმჯობესების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1938 წ. № 17, მუხ. 113) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** დაწესდეს ასიგნობათა ყოველწლიური საანგარიშოსწორებო ნორმები საქალაქო კეთილმოწყობის ნაგებობათა კაპიტალური რემონტისათვის 1941 წელს, თანახმად დანართისა. (იხ. გვ. 10)

**2.** დაევალოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და ფინსახკომს 2 დეკადის ვადაში დაამტკიცოს ინსტრუქცია საქალაქო კეთილმოწყობის ნაგებობათა კაპიტალური რემონტის დაფინანსების შესახებ.

**3.** დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს და მშრო-

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საქალაქო კეთილმოწყობის ნაგებობების კაპიტალური რემონტის ასიგნობათა წლიური გეგმების დამტკიცების დროს იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. გვიშიანი.**

1940 წ. დეკემბრის 19. № 2598.
თბილისი.

---

## 6. სამედიცინო მუშაკთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 11 დეკემბრის დადგენილებისა „სამედიცინო მუშაკთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 32, მუხ. 806), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს, როგორც არასწორი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის 1940 წლის 4 ივლისის № 152 და 1940 წლის 9 ივლისის № 156 ბრძანებანი, რომლებიც გამოცემულია შესაბამისად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის 1940 წლის 27 ივნისის № 321 და 1940 წლის 1 ივლისის № 332 ბრძანებებისა „სამედიცინო მუშაკთათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობის გადიდების შესახებ“.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის 1940 წლის 6 ივლისის ზემოაღნიშნული გაუქმებული ბრძანებებისა და ინსტრუქციების ნაცვლად, მტკიცედ იხელმძღვანელოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით (მუხ. 2) „სამედიცინო მუშაკთა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. გვიშიანი.**

1940 წ. დეკემბრის 19. № 2605.
თბილისი.

---

## 7. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სატყეო დაცვის მუშაკთა მიწის სამსახურო ნაკვეთების ოდენობის დაწესების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 3 ოქტომბრის დადგენილებისა გზის შემომვლელთა და რკინიგზის ლიანდაგთა დარაჯების, მებაკენეთა და ტყის დაცვის მუშაკთათვის სამსახურებრივ ნაკვეთების ოდენობის დაწესების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 27, მუხ. 640), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესდეს, რომ სატყეო დაცვის მუშაკებს (ტყის დარაჯებს და ტყის მცველებს) მიეცემათ სასამსახურო ნაკვეთები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სატყეო სავარგულების ფონდიდან შემდეგი ოდენობით:

ა) სახნავი, საკარმიდამო მიწა 0.25 ჰექტარი და

ბ) 1-დან 2 ჰექტარამდე სათიბი—სატყეო დაცვის მუშაკთა პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვისათვის.

2. სათიბების რაიონობრივ ნორმებს, მათი არსებული რაოდენობის მიხედვით, აწესებს სატყეო მეურნეობის დირექცია მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად, ამასთან სასამსახურო ნაკვეთები გამოიყოფა იმ პირობით, თუ ტყის დარაჯებისა და ტყის მცველების ოჯახები არ სარგებლობენ მიწით სხვა ადგილას (მათ შორის კოლმეურნეობაშიც).

უკეთუ სოფლად აღნიშნული კატეგორიის მუშაკთა ფაქტიურ სარგებლობაში არსებული მიწის სავარგულების ოდენობა მიწის ნაკვეთების ამ დადგენილებით დაწესებულ ნორმებზე ნაკლებია, მაშინ ეს უკმარი ოდენობა სატყეო დაცვის მუშაკებს სატყეო სავარგულების ფონდიდან მიეცემათ.

იმ შემთხვევაში, თუ სატყეო დაცვის დარაჯები და ტყის მცველები სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ (გარდა ინვალიდობის გამო დათხოვნისა), ისინი ჰკარგავენ მათთვის მიცემული სასამსახურო ნაკვეთების სარგებლობის უფლებას და ერთმევათ მოსავლის აღების უფლებაც, მაგრამ იმ პირობით, რომ მათ აუნაზღაურდეს საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებაზე გაწეული ხარჯები.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ეკისრებათ კონტროლის გაწევა იმისათვის, რომ სატყეო დაცვის დარაჯებსა და ტყის მცველებს მიეცეს სასამსახურო ნაკვეთები ამ დადგენილებით დაწესებულ ფარგლებში, აგრეთვე იმისათვის, რომ სწორად იქნას გამოყენებული ეს ნაკვეთები.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 20 ავგისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ტყის დაცვის მუშაკებისათვის (ტყის მცველები და ცხენოსანი დარაჯები) სასამსახურო მიწის ნაკვეთების ოდენობის დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 14, მუხ. 99).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. დეკემბრის 19. № 2607.
თბილისი.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**8. სწავლის ფულის გადახდისაგან პენსიონერ ინვალიდ მოსწავლეებისა და მათი შვილების, აგრეთვე საბავშვო სახლების აღსაზრდელთა განთავისუფლების შესახებ.**

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 7 დეკემბრის დადგენილებისა „მოსწავლე ინვალიდ პენსიონერებისა და მათი შვილების და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა სწავლის ფასის გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 31, მუხ. 785), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნან სწავლის ფულის გადახდისაგან ყველა საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში პენსიონერი ინვალიდები და მათი შვილები იმ შემთხვევაში თუ პენსია, რასაც ისინი იღებენ, მათთვის არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, აგრეთვე მოსწავლე ინვალიდები (უსინათლონი, ყრუ-მუნჯნი და სხვა ინვალიდები), რომლებიც პენსიას არ იღებენ და სასწავლებლად გაგზავნილი არიან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ.

2. შენარჩუნებულ იქნას საბავშვო სახლების აღსაზრდელთა და პატრონატზე მყოფ ბავშვთათვის უფასო სწავლება ტექნიკუმებსა და საშუალო სკოლების 8—10 კლასებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. გვიშიანი.**

1940 წ. დეკემბრის 19. № 2609.
თბილისი.

---

**9. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მოწყობის შესახებ.**

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 5 დეკემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის მიწსახკომის, რუსეთის სფს რესპუბლიკისა და უკრაინის სს რესპუბლიკის მიწსახკომების, ავტონომიური რესპუბლიკების მიწსახკომების, სამხარეო, საოლქო და რაიონულ მიწათმოქმედების განყოფილებათა სტრუქტურის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 1, მუხ. 4), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო მოეწყოს „საქკურორტტყის“ ბაზაზე, რომელიც გამოყოფილ იქნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობიდან.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს უფროსად დაინიშნოს ამხ. ა. ს. მარჯანიშვილი.

4. დაევალოს ამხ. ერისთავს და ამხ. მარჯანიშვილს პირველმა ჩააბაროს, ხოლო მეორემ მიიღოს „საქკურორტტყის“ მთელი საქმეები „დაწესებულებათა, საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა და მშენებლობათა ხელმძღვანელების შეცვლის დროს საქმეების მიღება-ჩაბარების წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 2 მარტის № 248 დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 7, მუხ. 44) შესაბამისად.

„საქკურორტტყის“ საქმეების მიღება და ჩაბარება მოხდეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ლ. ჩიბურდანიძის თანდასწრებით.

დაევალოს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ხოშტარია (თავმჯდომარე), ამხ. ჩიბურდანიძე და მარჯანიშვილი ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს წინადადებანი იმ ტყეებისა და საწარმოების შესახებ, რომლებიც სამმართველოს გამგებლობაში უნდა გადაეცეს, აგრეთვე შეიმუშაოს დებულება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მუშაობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. გვიშიანი.**

1940 წ. დეკემბრის 19. № 2618.
თბილისი.

**დანართი**

### ასიგნობათა ყოველწლიური საანგარიშსწორებო ნორმები საქალაქო კეთილმოწყობის ნაგებობათა და მწვანე ნარგავების კაპიტალური რემონტისათვის

| | კაპ. რემონტისათვის ასიგნობის ნორმა პრო-ცენტებში ნაგებობის ღირებულებიდან |
|---|---|
| **I. ქვაფენილები** | |
| 1. რიყის ქვის | 5 |
| 2. ძელური ქვიშიან ნიადაგზე | 3,3 |
| 3. ასფალტ-ბეტონის | 6,6 |
| 4. ღორღიანი გზატკეცილი | 6,6 |
| 5. შავი გზატკეცილი | 5 |
| **II. ტროტუარები** | |
| 1. ქვისა და ლორფინის ფილისაგან | 2 |
| 2. ასფალტისა და ასფალტ-ბეტონის | 6,6 |
| 3. ასფალტისა და ასფალტ-ბეტონის ქვიშიან ნიადაგზე ხელით დატკეპნილი | 12 |
| 4. რიყის ქვის | 4 |
| **III. ხიდები** | |
| 1. ლითონის | 1,3 |
| 2. ბეტონის და რკინაბეტონის | 1 |
| 3. ქვის | 1 |
| 4. მაგარი ჯიშის ხისა | 6,6 |
| 5. რბილი ჯიშის ხისა | 10 |
| **IV. სანაპიროები** | |
| 1. ქვისა და ბეტონის | 1 |
| **V. მწვანე ნარგავები** | |
| 1. პარკები, ბაღები, ბულვარები და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა მწვანე ნარგავები ჰექტარზე მანეთი | 1500 |
| 2. სასაფლაობი ჰექტარზე მან. | 1500 |
| **VI. ქუჩების განათება** | |
| 1. ერთ ნათურზე | 20 მან. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკვეთა № 27[illegible]

ტირაჟი 1600